# სახალხო გაზეთი

№ 313 შაბათი, 4 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 313

—განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური სპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



დღევანდელ ნომრის ტფილისის ხელის-მომწერთ და ტფილისის გასაყიდ გაზეთებთან რიგდება ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ სეირნობის აფიშები. (1—643—1)

„სახალხო გაზეთი“ (სურათებიანი დამატებით)
1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

გიორგი ბესარიონის ძე კიკნაძე მეუღლით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ქალაქ სარატოვში გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარ ძმისა მეორე ძვირფასის მაზლის

ვასილ ბესარიონის ძის კიკნაძისა.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 5 ივნისს, სოფ. ბელაგორში, წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—637—2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
შაბათს, 4 ივნისს,
ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ ბ. ალ. შანშიევის მონაწილეობით წარმოდგენ. იქნება პირველად სახალხო სცენაზე შექსპირის ცნობილი ტრაგედია
ჰ ა მ ლ ე ტ ი,
5 მოქ. 9 სურათ., თარგ. მაჩაბლისა
მონაწილეობენ ქ-ნნი: დ. რჩეულოვისა, ა. აფხაზიშვილი. ბ-ნნი: ლ. ბაღაშვილი, რ. ხალაყაია, ფრანჯიშვილი, ა. შანშიევი, სულთანოვი, ს. ერთაწმინდელი, ს. ბიაშვილი, იაშვილი, გ. მელაძე, მაისურაძე, ყანჩაველი, წირხელი.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილით 10—2 ს. საღამოს 6—9 ს. ამ წარმოდგენაზე კონტრამარკები არავის მიეცემა.
(2—635—2) გამგე ვ. ფრანგიშვილი.

ქართული საზაფხულო თეატრი
კვირას, 5 ივნისს,
არტისტი ვასო აბაშიძე გამართავს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტა და ერთი ვოდევილი:
მეჯლისი იტალიელებითურთ, ოპერეტ. 1 მ. ოფენბახ. მუსიკა, ვ. აბაშიძის თარგ.
ბორჯინის წინედ, ოპერეტა 1 მოქ. ჯონასისა, ვ. აბაშიძის თარგმანი.
ბებრის სალერღელი, ვოდევილ. 1 მოქმედ. დ. აწყურელისა.
მონაწილეობენ: ქ-ნ ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, პიერრეტა, ნებიერიძისა. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, დ. მგალობლიშვილი, ვ. გუნია, ზ. საფაროვი და სხვანი. ადგილების ფასი 30 კ. 3 მანეთამდე. წარმოდგენის დასაწყ. საღ. $8^1/_2$ ს.
(4—1230—3) დირიჟორი ვ. ფალიაშვილი.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
კვირას, (დილით) 5 ივნისს, გაიმართება
სალიტერატურო-სამუსიკო
დ ი ლ ა
მონაწილეობას მიიღებენ: კოლა ერისთავი, ია ეკალაძე, დ. ნაზუცრიშვილი, ილ. ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძე, გ. ქუჩიშვილი, სვ. ყიფიანი, გ. გუნია, ი. გრიშაშვილი, აპ. წულაძე, ნ. გოცირიძე, შ. საფაროვი, შ. ტატიშვილი, გ. კანდელაკი, ოსიკო ბარათაშვილი, კ. მეღვინეთ-უხუცესი, ნატკანი, გრ. დიასამიძე, კ. ჯაფარიძე, მაზარაშვილი. ადგილების ფასი 5—50 კ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყ. დილის 1 ს. გამგე ი. მამულაშვილი. (3—1320—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
ბიდევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. $2—2^1/_2$ ს.
მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.
ხოძოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სადგასურით.
(წ.—1089—478)

მუშტაიდში
4 ივნისს, 1911 წელს, გაიმართება
დიდი სეირნობა
ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ. (3—634—3)

საბურთალოზე მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—61)

„სორაპანის“ სტამბა
გადავიდა მადათოვის კუნძულზევე ი. კამოევის შენობაში. სტამბა უკვე მოეწყო და ღებულობს ყოველგვარ
დასაბეჭდ საქმეებს. (ნ—1316—3)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთის“
გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1911 წ. 18 ივნისს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება ქ. თელავში ბიუროს სადგომში დილის 10 საათზე. ეს კრება, როგორც მეორე, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
კრებამ უნდა განიხილოს:
1) 1909—1910 წლის ანგარიში და 1910—1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) ახალი წევრების არჩევანი, ორი გამგეობის წევრის და ორი მათი კანდიდატის არჩევანი, 3) საკითხი იმ წევრთა შესახებ, რომლებმაც არ შეასრულეს საზოგადოების წესდებით დაკისრებული ვალდებულება და მით ზარალი მიაყენეს საზოგადოებას. 4) დანიშვნა გასამრჯელოსი გამგეობის წევრთათვის.
(3—1322—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.
მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.
ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.
უკლონსკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2—12^1/_2$ საათ.
სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.
რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.
ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.
კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—54)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20.
(წ.—1249—31)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.
ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. $11—11^1/_2$.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ვ. გ. ხოძოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606“-ით.
(შო.—1090—75)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა ე)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. ისმაილოვისა ქ. N2.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7ს. ლოვინის პროსპ. N 12, ახლი მდ.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი მ. ი. რხეიძელი
შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—1)

ექიმი ე. მ ა შ ა კ ი ძ ე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 6—70

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ-ენებისა და მუსიკის მცოდნე
ეძებს გაკვეთილებს
თანახმაა ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.
ადრესი: გუდოვიჩის ქ. N 7; სამხატვრო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი.
(10—1309—8)

დიდუბეში
დიდუბის ეკლესიის მახლობლად კვირას, 5 ივნისს, გაიმართება
კავკასიური ჭიდაობა
იჭიდავებენ: 1. მიხა ქურხული—ალექსი მარტყოფელი. 2. გიორგი ჯიბგირი—ხან-ახმედ დაღისტნელი. 3. შაშო გურელი—გოლა გიე-ივანესშვილი ზამთელი. 4. კოტე სამადაშვილი—თლუმფი ნავთლუღელი. 5 ვახტანგ ცხინვალელი—მაქრო მცხეთელი. 6. ოსი ვარდანა—ვიქტორ კრისელი. 7. არჩილ ნავთლუღელი—ვასო კაპანაძე. 8. გიგუცა პოპხიშვილი—კოლა დოელი. 9. ოსი როსება—ვასო ზოვლელაშვილი, 10. გიორგი პატარძეულელი—ვიქტორ ზხირტლაძე. 11. არჩილ კოშკისუბნელი—გოლა მურთაძე და სხვანი.
დასაწყისი $5^1/_2$ ს. (2—644—1)


## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სახელმწიფო სათათბიროს და სახ. საბჭოს სხდომები დაბოლოვდა და ჟურნალ-გაზეთები ჩქარობენ შეაფასონ მათი ნამოქმედარი. „ნოვოე ვრემია“-ს მაინცა და მაინც იმედი არა აქვს, რომ ეგ სესია დიდმნიშვნელოვან კანონმდებლობას იკისრებს და შეასრულებს, მაგრამ იგი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ

ხალხის წარმომადგენლობის იდეამ მტკიცედ გაიდგა ფეხი საზოგადოებაში. უტოპიურს ოცნებას რეფორმების სწრაფად გაყვანისას თავი დაანებეს და სახელმწიფო ანგარიშში ბევრი რამ სასარგებლო პრაქტიკული ზომებია გაყვანილი. საბიუჯეტო კომისიის მუშაობამ დიდი ყურადღება დაიმსახურა. ხალხის ფულების ხარჯვის დამოუკიდებელი კონტროლი შეუძლებლად ხდის უწინ შესაძლებელ არასასურველ შემთხვევებსო.

აი, ამაზე იტყვიან „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. საკვირველია, რატომ უხამს თვალებს მკითხველს ეს პატივცემული გაზეთი და რატომ ივიწყებს, რომ ეს მთელი თითქმის $^2/_3$ ბიუჯეტისა არავითარს „კონტროლს“ არ ექვემდებარება. თითქმის ყველა უმთავრესი დარგი ბიუჯეტისა თავისუფალია კანონმდებელ დაწესებულებათა კონტროლისაგან და სწორედ ეს არის ამ უკანასკნელთა ორჭოფი მდგომარეობის და უღონობის მიზეზი.

შემდეგ გაზეთი ასახელებს რამდენიმე მნიშვნელოვან კანონ-პროექტს, მაგრამ იქვე განმარტავს, რომ არც ერთი არ არის განხორციელებულიო.

კანონი „ობშჩინიდან“ გამოსვლისა სათათბირომ მისი განხორციელების შემდეგ განიხილა, რადგანაც ეგ კანონი მთავრობამ გამოსცა სათათბიროს დაუკითხავად.

და სწორედ ეგ მოვლენა აღიარა მთავრობამ პრეცედენტად, როდესაც დასავლეთ გუბერნიების ერობათა კანონ-პროექტი შემოიღო 87 მუხლის ძალით.

მაგრამ უბრალო მცხოვრებლების მოსაზრებით ამ კანონმდებელ დაწესებულებათა შინაური კინკლაობა, მხოლოდ მათი შინაური საქმეა... იმათ წარმომადგენლები გაგზავნეს ორივე პალატაში და მათგან კანონებს ელის და არა თეორეტიულს მსჯელობას.

მეორე სუსტი მხარე ის არისო, განაგრძობს გაზეთი, რომ სრული უსისტემობა არსებობსო.

საგლეხო კანონმდებლობიდან გადაბიჯეს სასამართლო რეფორმაში, აქედან გადახტნენ სასკოლო და აქედან კიდევ სასოფლო მმართველობაში.

აქედან გაზეთი სურვილს გამოსთქვამს სამერმისოდ, რომ

მუშაობის საერთო ფარგალი ასეთი ვრცელი არ იქნეს, რომ თუ ერთი საკითხი აღიძრა, კიდეც განახორციელონ. ახლა კი ისინი ცხოვრების აუარებელ საკითხებს ერთად ეპოტინებიან და სწორედ ამიტომაცაა, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვერ შემუშავდა ატმოსფერა, სადაც სასარგებლო მუშაობა იწარმოებს.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ პირველ ორი სათათბიროს დიდი ნაკლი „გასაოცარი მრავალ-ლამაზ სიტყვიანობა“ აღარ არის მესამე სათათბიროში, მაგრამ ნაცვლად მეორე ნაკლი კი თანდათან იზრდებაო.

ეგ ფრაქციებად დაქუცმაცებაა. იგი იზრდება. გამოცდილები შესაძლებლად ჰხედავენ ახლო მომავალში ორი ან სამი ახალი ფრაქციის აღმოცენებას. ნაციონალისტები უკვე დაიქსაქსნენ. რიგი ახლა ოქტომბრისტებზეა. ეგ მანერა წრეებად, ჯგუფებად დაყოფისა, რაღაც წვრილმანების ნიადაგზე, მრავალ-სიტყვიერებაზე უფრო მავნებელია. აქედან წარმოდგება „ცენტრის“ უმტკიცი მდგომარეობა, პრაქტიკულ შეთანხმების სიძნელე, ხმების დაქსაქსვა... ხალხის წარმომადგენლობის მრავალ-ფეროვანება იმით არის კარგი, რომ საკითხი მრავალ მხრით განიხილება, მაგრამ ჩვენი ფრაქციები ისე ცოტათი განირჩევიან ურთიერთისაგან, რომ კარგი მხარე იკარგება, და საქმეს აფერხებს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, მით უმეტეს, რომ მეოთხე სათათბიროს წინა ვდგევართ.

მაშ აგრე, ფრაქციებად დაქუცმაცება სასარგებლო არა ყოფილა. მერე რამ გამოიწვია ეს? მხოლოდ სათათბიროს ცენტრის ორჭოფულმა პოლიტიკამ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ის ნიადაგი, რომელზედაც ეგ პარტია აღმოცენდა, სარძნობლად ირყევა მთავრობის მტკიცე ხელის წყალობით. იმედია ნაციონალისტებსაც გაუჩნდება რამდენიმე ფრაქცია, თუ შემთხვევამ ხელი შეუწყო, იქ სადაც არ არის პრინციპიალური გეგმის მოქმედება, თავს იჩენს ჯგუფობრივი დანაწილება, აღმოცენებული არა პრინციპიალურ ნიადაგზე. ფრაქციათა გამრავლებას ხელს შეუშლის არა კეთილი სურვილების გამოთქმა, არამედ მტკიცე პრინციპიალური მოქმედება.

## ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი წუხელ ჩქარის მატარებლით ბათომს გაემგზავრა.

✦ საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს დავალებით მოკლე ხანში ტფილისს და შემდეგ კავკასიის სხვა ადგილებს ესტუმრება პროფესორი პეტრე ბონნე გეოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენად.

✦ პოლიცმეისტრის ბრძანებით პოლიციელთ სასტიკად ევალებათ, ქუჩებზე ყვირილი აღუკრძალონ მწვანილის გამყიდველებს, ძველ

ტანისამოსის მოვაჭრეებსა, მეურმეებსა და სხვებს.

✦ **2 ივნისს საგანგებო კომისიამ პოლიცმეისტერის თანაშემწის** კაპიტან სტროევისა და მთავარ სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის ბ. ს. ბაბოვის მონაწილეობით ქალაქის მერვე უბანში სამგზავრო ეტლები დაათვალიერა. უვარგისი ეტლები კომისიამ დაბეჭდა.

✦ როგორც გავიგეთ, ქალაქის მთავარი ბუჰგალტერი **ს. დანდუროვი** სამსახურს თავს ანებებს.

✦ **გუშინ სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ნ. მარქაროვმა** ქალაქის გამგეობას წარუდგინა სია იმ სახლებისა, რომლებზედაც საქალაქო გადასახადია დარჩენილი და რომელნიც საჯარო ვაჭრობით უნდა გაიყიდოს.

✦ **ტფ. ვიცე-გუბერნატორმა** სამეურნეო საზოგადოებას აცნობა, საბეითალო უწყებამ თავის წარმომადგენლად ვორონცოვკაში განზრახულ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ბეითალი-ექიმი ივანუშკინი დანიშნაო.

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაში შინაგან საქმეთა **სამინისტრომ 1911** წლის სმეტიდან კრედიტი გადასცა 709 მან. და 60 კაპეიკისა, რომლიდანაც მაისის ჯამაგირები მიეცემათ მოხელეთ ურიებით თანამდებობის აღმასრულებელთ: მთის ოსეთის, ქარელისა, გომის და ქვემოქალის ბოქაულებისა, ბორჯომის ბოქაულის თანაშემწისა, გორის მაზრისა და ალაზან გაღმა სიღნაღის მაზრის რაიონის გამგისა.

✦ 2 მაისს, საღამოს 11 საათზე, პუშკინის ქუჩაზე ქარვასლისა და ძველ სემინარიის შენობის შუა **ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შესწყდა.** მიზეზი ის იყო, რომ ტელეფონის მიწის ქვეშ გასაყვანი თხრილი ჩაიქცა და ლიანდაგიც გაფუჭდა.

✦ **კავკასიის სამთომადნო გამგეობამ** ტფილისის გუბერნატორსა სთხოვა, რათა უბრძანოს ადგილობრივ პოლიციას კანონიერი დახმარება გაუწიოს სამთო ინჟინრებს: კონიუშევსკის და კრუქს, რომელთაც ტფილისის მიდამოებში გეოლოგიურ გამოსაკვლევად ჰგზავნიან. მათ, სხვათა შორის, უნდა გამოიკვლიონ გოგილოს წყლების უბანი, სადაც მიწას გახვრეტენ და გეოლოგიურ გამოკვლევას მოახდენენ მეტეხის ციხის ახლოს.

✦ „ღარიბ მოწაფეთა შემწეობისთვის ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების" 1910 წ. მოქმედების ანგარიში მზად არის და მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

✦ **მტკვარში დამღვრჩალ ბავშვის** ვინაობა უკვე გამოირკვა. იგი აღმოჩნდა გორის მაზრის სოფელ დირბის მცხოვრები ივანე სოლომონის ძე მაჭარაძე.

✦ **ტრამვაი.** 1 ივნისს, შუადღისას, წყნეთის ქუჩაზე, ელექტრონის მავთული გასწყდა, რის გამოც ტრამვაის მოძრაობა საათ-ნახევრით შესწყდა.

✦ გუშინ ახალ ამბებში მოხსენებული გვქონდა, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი ბორჯომისკენ მიემგზავრებაო. ეს ხმები ყუყილი გამოდგა.

✦ **ტფილისის პოლიცმეისტრის მცველი** მამედ კურბანოვი, რომელიც ორთაჭალის ბაღში, ქეიფის დროს, მძიმედ იქმნა დაჭრილი, 2 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ **132.000 მანეთის გამტაცებლის შეპყრობა.** მაძებარ პოლიციის აგენტებმა ტფილისში შეიპყრეს ოზურგეთის მაზრის სოფელ პახვის აზნაური მგალობლიშვილი, რომელსაც ზედ აღმოაჩნდა ალექსანდრე სამსონის ძე ნიჟარაძის პასპორტი. მგალობლიშვილს ბრალდება ერევნიდან პეტერბურგში მიმავალ საფოსტო ვაგონიდან 132,000 მანეთის გატაცება. ტფ. სამოსამართლო პალატა მას კარგა ხანია ეძებდა. მგალობლიშვილს მხოლოდ 20,000 მანეთის თავდებობით გაანთავისუფლებენ.

✦ **სენატის ბრძანებით** უყურადღებოდ იქმნა დატოვებული ტფ. ქალაქის თვითმმართველობის საჩივარი—ტფ. საგუბერნიო საქმეთა საკრებულოზე, რომელმაც არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება სახალხო მოძრაობის დროს დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ 5.000 მანეთისა და სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალებულ ნახიჩევნელთა სასარგებლოდ 5.000 მანეთის გადადების შესახებ.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის პრეზიდიუმი უკვე გამოირკვა. არჩეულ იქმნა: თავმჯდომარედ—ვ. ი. რცხილაძე, მის ამხანაგად—თ. ბ. ტერ-გევონდიანცი, მდივნებად—ა. ს. ბებურიშვილი და ნ. ზ. ჯიოშვილი და ხაზინადრად—გ. გ. ლეიმანი.

✦ **დღეს დანიშნულია სეირნობა** ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ. ამ დღეს **მუშტაიდში** გამოფენილი იქნება ზემოხსენებულ სკოლის მოწაფეთა ხელსაქმე გასასყიდად.

✦ 2 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 4 უპასპორტო.

## წვრილი ამბები

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ქარინა იდა დარბეკი.

✦ ქალაქის მეხუთე უბნის ბაზრის მეთვალყურემ გ. იაშვილმა გუშინ ოქმი შეუდგინა ყასბებს აჯი იუსუფს და ნაბათ გურბან-ოღლის ხორცის ძვირად გაყიდვისათვის.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოების** წლიური კრება 15 ივნისისათვის დაინიშნა.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ ცხოველთა მომშენებელ ბიუროს კრება 2 ივნისს მოჰხდა. განხილულ იქმნა საკითხები, რომელნიც დაკავშირებულია ს. ვორონცოვკაში განზრახულ მეწველ საქონლის გამოფენასთან, რომელიც უნდა გაიხსნას 12 ივნისს და გასტანს 14 ივნისამდე. პირველად ბიურომ დაადგინა, ეთხოვოს საბეითალო უწყებას, თავისი წარმომადგენელი დანიშნოს ამ გამოფენაზე. შემდეგ არჩეულ იქმნა გამოფენის მეთვალყურე კომიტეტი. არჩეულ იქმნენ: ნ. პ. ტარატინოვი, გ. გ. შადინოვი, ა. ა. ქალანთარი, ი. ბ. მელიქ-ბახტაპიანი და ა. ზ. თამამშევი. დასასრულ ბიურომ დაადგინა, დეპეშით ეთხოვოს მიწად-მოქმედების დეპარტამენტს, დაუყოვნებლივ გამოჰგზავნოს ის 500 მანეთი, რომელიც მან გადასდო საუკეთესო საქონლის პატრონთა დასაჯილდოვებლად.

## სასწავლებლებში.

✦ **საბალოსნო სასწავლებლის** მოსამზადებელ კლასში სწავლა 15 ივნისს დასრულდება. უკანასკნელ კლასის მოსწავლეთ გამოსაცდელი ეგზამენები პრაქტიკულ საგნებში 25 ივნისს დაეწყობათ და 15 ივლისს გათავდება, გამოცდა თეორეტიულ საგნებში შემოდგომაზე ექნებათ.

## სასამართლო.

✦ **ექიმ ტურიაშვილის საქმე.** 2 ივნისს სისხლის სამართლის 1 განყოფილებ. ტფილისის სასამართლო პალატაში გაირჩა ტურიაშვილის საქმე. მას ბრალად ედებოდა ყრუ და მუნჯი მონაზონის გაუპატიურება. პალატამ განიხილა ბრალდებულის აპელიაცია, ახადა ღირსება და ექვსი წელიწადი ტუსაღთა გამასწორებელი განყოფილებაში გაგზავნა.

## კავკასიის რკინის გზაზე

✦ **სად. მოლითი.** როგორც ტფილისის საფოსტო სატელეგრაფო ოლქის უფროსი იტყობინება, უმთავრეს სამმართველოს ნება დაურთავს გაიხსნას სად. მოლითში საფოსტო განყოფილება, რომლის წარმოება მიენდობა სადგურის უფროსს და დაიწყება მომავალს ივლისის პირველიდან.

## ქუთაისი

✦ **აფრასიონ მერკვილაძის ამბავი ბევრს ახსოვს.** მასთან 40 კაცს ბრალს სდებენ. ამ საქმის გამოძიება მინდობილი ჰქონდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელთ: ბოიკოს, სენკევიჩსა და კარსკის, რომელთაც უკვე დასრულეს საქმე და გადასცეს განსახილველად კავკასიის სამხედრო სასამართლოს. პასუხისგებაში მიცემულნი არიან: ბესარიონ ნებიერიძე, თენგიზ ქელენტი, არ. თოდრია, ტრ. არაბიძე, კოლია ლორთქიფანიძე, იაგორ ჩიხლაძე, ის. ქუმბურიძე, პ. პაიჭაძე, ჩუბინიძე, ენუქიძე, საყვარელიძე, სვანიძე, კოვზირიძე, ქოლაძე და სხვანი, სულ ოცდაათი კაცი. ათი კაცი ციხეში დაიხოცა. ამათ აბრალებენ 1905—6 წელში შორაპნის მაზრის დაბა ქვიათურასა, ჩხარსა და ყვირილაში მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციების შედგენას, სხვადასხვა ასაფეთქებელ მასალებისა და იარაღის შენახვას, ეგრედ წოდებულ წითელ რაზმის დაარსებას, შეიარაღებულ მოქმედებას თვითმპყრობელობის დასამხობად და დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაარსებლად. ბრალდებათ აგრეთვე მრავალი ტერორისტული აქტი. ასამართლებენ 102 მუხლის 2 ნაწილის ძალით. ბრალდებულთა უმეტესობა მეხუთე წელიწადია, რაც ციხეში ზის. მათ წინააღმდეგ წამოყენებული სხვა ბრალდებანი, როგორიცაა მაგ: ყაჩაღობა, კერძო ინტერესობით მკვლელობა და სხვ. სავსებით უარყო გამოძიებამ და დაამტკიცა, რომ განდევნილი რაზმელები და სოფლის ქურდ-ბაცაცნი მოქმედებდნენ ამათი სახელით. ბრალდებულთ დაიცავენ ცნობილი პეტერბურგელი ვექილი სოკოლოვი და ადგილობრივი ვექილები. ორასამდე მოწმეა ამ საქმეში. (კ.)

## გორი

**მეხილეთა კრება** მოჰხდება კვირას, 5 ივნისს, შუადღისას (12 საათზე).

## თელავი

✦ აქაურ ციხიდან გაქცეულა პატიმარი გიორგი სოსიკაშვილი.

✦ **სოფ.** ზემო-ხოდაშენის მცხოვრებს იოსებ ორაშიძეს ფულის ანგარიშის გულისათვის უკანიდან მიჰპარვია ალექსი ციებაშვილი და კეტი დაუკრავს თავში. ორაშიძე იქვე მომკვდარა.

## ყვირილა

✦ ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველოს სასარგებლოდ ვარინკა წერეთლის, პლ. კიკნაველიძის და ვალ. გალდავაძის მეობებით 29 მაისს გაიმართა საღამო, რომელსაც ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო. შემოსავალიც კარგი იყო.

## სომეხთა ცხოვრება

✦ 30 მაისს ავლაბრის „ახალ დრამის" თეატრში **შირვანზადეს საიუბილეო დღესასწაული გადაიხადეს.** წარმოადგინეს მისი ერთ მოქმედებიანი კომედია „ცეღლუტი", რომელიც სუსტი ნაწარმოები აღმოჩნდა, შემდეგ „ნამუსისათვის", მე-4 მოქმედება და ბოლოს საიუბილეო დღესასწაული გაიმართა. ხალხი ბლომად დაესწრო, ბევრი საჩუქრები და მილოცვები იყო. სხვათა-შორის ავლაბრის სომხებმა საჩუქრად 300 მანეთი მიართვეს.

✦ დონის-ნახიჩევანის სომხთა საქველმოქმედო საზოგადოების 30 წლის მოქმედების იუბილეი გადაიდო.

✦ **ანის მუზეუმის** საჭიროებისათვის ქ-ნმა იზაბელა ზარგარიანმა პროფესორ მარს 200 მანეთი გადასცა.

# ჟურნალისტის დღიური

22.

**დანდუროვი.**

შავს ვარსკვლავზე ყოფილა გაჩენილი ქალაქის თვითმმართველობის ბუღჰალტერია. ბევრი ითათბირეს ქალაქის მამებმა, მაგრამ აწეწილ-დაწეწილ საქმეებს ვერც თავი გაუგეს და ვერც ბოლო. უფროსი ბუღჰალტერიც კი ჰყავთ—ამიერიდან ცნობილი სტეფანე დანდუროვი. მართალია, როგორც „ბოროტი ენები" ამბობდნენ, უფროს ბუღჰალტერს მაინც და მაინც კარგად არა სცოდნია თავისი საქმე, მაგრამ ქალაქის „მამები" რის მამები იქნებოდნენ, რომ თავისი შვილობილისთვის დახმარების ხელი არ გაეწოდათ! ასეც მოიქცნენ. ენა-წყლიანმა ხატისოვმა განაცხადა, გამოიჩინეთ კაცთ-მოყვარეობა და საშუალება მიეცით ჩვენს უფროს ბუღჰალტერს ბუღჰალტერია შეისწავლოსო. მამებს გული აუჩუყდათ და მოიქცნენ ისე, როგორც „მოურავი" ურჩევდა. ელოდნენ, მაგრამ ალბად თვით მამებსაც გადაუწყდათ იმედი, რომ დანდუროვი რამეს ისწავლიდა. მაგრამ ღმერთი ლმობიერია, და ჩვენს ქალაქსაც მხსნელად ბ-ნი სივერსი მოუვლინა. სივერსი ცნობილია, როგორც კარგი ბუხჰალტერი. მოიწვიეს იგი და ... ჩვენი „ქალაქი დიდია და მდიდარი, მაგრამ წესიერება არ გვაქვს, მოდი და გვიპატრონეო".

ბ-ნმა სივერსმაც ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. დღევანდელ ანგარიშიდან დაინახავს მკითხველი, რა ყოფილა ქალაქის ბუღჰალტერია. ბ-ნ სივერს ერთი მეორეზე შემაძრწუნებელი შეცდომები აღმოუჩენია, მაგრამ მაინც ჯენტლმენურად ყველას შუბლზე ხელს უსვამს, შენც კარგი ხარ, შენც, მაგრამ საქმე კი არც ერთმა იცით და არც მეორემაო. დანდუროვი ძალიან კარგი მცოდნეა ქალაქის მეურნეობისა, განუცხადებია ბ-ნ სივერს, მაგრამ ბუღჰალტრად ვერ გამოდგება, რადგანაც... ბუღჰალტერია არ იცის. სხვა მოსამსახურენიც, მოანგარიშენი, ძალიან კარგი ხალხია, მუყაითი, შრომის მოყვარე, მაგრამ... იტალიანურ ბუღჰალტერიისთვის სამი-ოთხი კაცი თუ გამოდგებაო. კანტროლიც ძალიან კარგი ყოფილა, მაგრამ... მაინც ვერაფერი გაუკეთებია, რადგანაც... პირობები ხელს არ უწყობდნენო.

არ ვიცით, რანაირი შთაბეჭდილება მოახდინა ბ-ნ სივერსის მოხსენებამ ქალაქის მამებში, მაგრამ სანუგეშო რომ ძალიან ცოტა სთქვა, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ბ-ნ სივერსის აზრით, საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა მოანგარიშეთა და სხვა თანამდებობის პირთა შტატის გამოცვლა, მაგრამ ექნება კი ამ მოსაზრებას სავალდებულო მნიშვნელობა „მამებისათვის"? ვეჭვობთ. ვინ იცის, რამდენაირ საშუალებებითა და კომბინაციების წყალობითაა მოპოვებული ეს ადგილები, და ეხლა ვიღაც სივერსის მოხსენებისა გამო ხელი უნდა აიღონ ადგილებზე? რანაირს გულ-უბრყვილობას გამოიჩენს ის, ვინც ასე იფიქრებს!...

**შინაური.**

# ტფ. ქალაქის საბჭოში

2 ივნისს.

კრება 9 საათზე დაიწყო. ქალაქის მოურავი ხატისოვი თავმჯდომარეობს, რომელიც ამხანაგების მხრივ სალამს აძლევს განჯისა და ქუთაისის მოურავებს ზიათხანოვს და ჩიქოვანს. კრებას დაესწრნენ კახეთის რკინის გზის წარმომადგენელნიც.

**თავმჯდომარე** აცხადებს უსაჭიროეს საკითხებს, რომელთა გარჩევა ეხლავე საჭირო და 40 ხმოსნის დასწრებას მოითხოვს. მათ შორის, ახალი სესხის აღება და კახეთის რკინის გზის საჭიროებისათვის ქალაქის მამულის მიცემა ავლაბარში.

# მცირე შენიშვნაზე

**შენიშვნა დიდუბის ეკლესიის გამო.**

„სახალხო გაზეთის" მკითხველებს ჯერ კიდევ ეხსომებათ, რომ ხსენებულ გაზეთის მე-297 ნომერში, დიდუბის ეკლესიის გარშემო ატეხილ „დავის" გამო, ჩვენ მოთავსებული გვქონდა წერილი შემდეგი სათაურით: „ცოტა რამ ძველი და ახალი დიდუბის ეკლესიაზე".

ეს წერილი შეიცავდა მოკლე ისტორიულ-პუბლიცისტურ მიმოხილვას ხსენებულ ეკლესიისას. დედა აზრი ამ წერილისა და ამის გაზეთში დასტამბვისა იყო გამოაშკარავება იმ მდგომარეობისა, რომელშიაც დიდუბის ეკლესია,—ეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი და ნაკვდავ-ნაღვაწი ეროვნული სიწმინდე,—ჩვენის მოქალაქობრივ სიბეცისა გამო დღეს იმყოფება.

ამის შესახებ ჩვენ გამოვსთქვამდით გულის წყრომას: „რატომ ან მღვდელს, ან ბერს, ან ბლაღოჩინს ან ვინმე სხვას ერთხელ მაინც არ მოუგივიდათ თავში თუ სად ილოცონ ამოდენა რაიონის ქართველ მორწმუნეებმა... დროა დიდუბის ეკლესიაში, ამოდენა რაიონში მცხოვრებ ქართველ მორწმუნეთათვის, აღდგენილ იქმნას წმინდად ქართული წირვა-ლოცვა და გალობა... რაც მალე მოწესრიგდება ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვის საქმე ქართულს ენაზე ისა სჯობია" თქო...

ხსენებულ ეკლესიის მეცხრამეტე საუკუნის დამლევის წინამძღვართა რიცხვში ჩვენ მოვიხსენიეთ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძეც. ამ უკანასკნელს მიუთითეთ რა თუ გარემოებები ზოგი როგორ ხელს უწყობდნენ და ზოგიც უკარნახებდნენ მას ქართველ მორწმუნეთაგან მტკიცე სამრევლო ორგანიზაცია შეექმნა დიდუბეში, გამოვსთქვით ის აზრი, რომ „ვერც მამა ცინცაძემ, როგორც სხვა „რუსეთუმე" მღვდელმა ჩვენში **დაახწია თავი განსაცდელს** არეულ-დარეულ წირვა-ლოცვის შემოღებისას ეკლესიაში... მამა ცინცაძემ იმ თავიდანვე (რასაკვირველია, „დღიდგან მათი დიდუბეში მისვლისა" და არა დიდუბის ეკლესიის დაარსებისა!) შემოიღო ქართულ-სლოვენური წირვა-ლოცვა... მოიწვია სლოვენურ მგალობელთა გუნდი"...

როდესაც ამ „ამბავს" ვსწერდით, ჩვენ სრულებით სახეში არ გვქონდა „მკითხველ საზოგადოებაში უსაფუძვლო (!?) მითქმა მოთქმა გამოგვეწვია" და ან ვინმესთვის პირადად რაიმე უსიამოვნება მიგვეყენებინა. მამა ცინცაძე კი „აუწყებს „სახალხო გაზეთის" (№309) პატივცემულ მკითხველებს, რომ დიდუბის ეკლესია'ში ქართულ-სლოვენურად-ღვთის მსახურება სრულდებოდა და მგალობელ რუსთა გუნდიც (!) არსებობდა ჩემს იქ მისვლამდიო. ამის მოწმენი არიან ერთის მხრით დიდუბის მღვდელი მ. ი. გურგენიძე და დიაკონი მ. გ. კონტრიძე, ხოლო მეორეს მხრით ეკლესიის შემოსავალ-გასავლის დავთრებიო".

ამ სახით, მამა ცინცაძის აზრით, ძირითადი დიდუბელი, მეტი რო არა ვსთქვათ, სტყუის.

ჩვენ არ ვიცით, რას უმოწმებენ მამა ცინცაძეს მღვდელი გურგენიძე და დიაკონი კონტრიძე. ყური კი ოდნავ მოვჰკარით, რომ ერთმაც, მეორემაც და **ხხვამაც** უარი უყვეს მ. კალისტრატეს თავიანთ ხელის მოწერით დაედასტურებიათ მისი ეხლანდელი ნაამბობი! ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო ამათივე მოწმედ გამოყვანა, თუ არ საპოლემიკო ეფექტისათვის, ან ვინ გამოიწვია მამა ცინცაძე საპოლემიკოდ?!.

მ. ცინცაძეს „ეკლესიის შემოსავალ-გასავლის დავთრებიც" ხელთ ჰქონია და გვიმტკიცებს ციფრებით ხელში, „რომ მგალობელ რუსთა გუნდი პირველად მოუწვევია (ხაზი მამა ცინცაძისაა,—სწორედ აგრე სწერია „დავთრებში"?!) მ. ბესარიონ ზედგინიძეს 1891 წლის ივლისში და მას შემდეგ იმ გუნდს (სწორედ იმ გუნდს!?) ბ.ბ. ნათაძის, ალბოვსკის, პოზგოვის (!) პროსკურინის და ომანიძის (!) ლოტბარობით გალობა არ შეუწყვეტია"!

უნდა მოვახსენოთ მ. ცინცაძეს ჯერ ერთი ისა, რომ საზოგადოდ „ეკლესიის შემოსავალ-გასავლის დავთრებში" არ იწერება მგალობელთა გუნდი ზედგინიძემ მოიწვია თუ გურგენიძემ. ასეთ დავთრებში სწერია მხოლოდ თუ ვისგან ან რისგან როდის რამდენი შემოვიდა; ვის ან რაში რამდენი როდის მიეცა!

ჩვენ სად მიგვიწვდება ხელი ეკლესიის დავთრების გასაშინჯად, მაგრამ დაბეჯითებით მოვახსენებთ მ. ცინცაძეს, რომ არც იმისგან ნახსენებ დავთრებში სწერია—ზედგინიძემ სლოვენურ მგალობელთა გუნდი მოიწვიაო! იმ დავთრებში ჩვენის ღრმა რწმენით ეწერება მხოლოდ შემდეგი: მიეცა ლოტბარ ნათაძეს აბა წლის (1891) ივლისის თვის ჯამაგირად... თორმეტი მანათი!

ბ. ნათაძე კი განსვენებულ ლადო აღნიაშვილის ხორისტია; ის ქართულად მგალობელი იყო და, რამდენადაც გვახსოვს, ქალაქიდან კვირა-უქმეებზე თან მოჰყავდა ეტლით ორი-სამი კაცი და ისე გალობდა დიდუბეში. სამწუხაროდ ბ. ნათაძეს დიდხანს აღარ უგალობნია აქ, ის სამი თუ ოთხი თველა დადიოდა ჩვენსკენ. ნათაძის შემდეგ შიგადაშიგ ადიოდნენ ხოლმე კლიროსზე ორი-სამი რუსი მუშა და ნელ-ნელა იჩემებდნენ ლოტბარობას. ასეთი „ლოტბარები" იყვნენ 1892 წლიდან: ალბოვსკი და პროსკურინი. ხოლო მოზგოვოი და ომანიძე სრულებით არ ყოფილან ლოტბარებად დიდუბის ეკლესიაში; პირველი პროსკურინის „პევჩი" იყო, გარნა მეორე—ბ. ომანიძე—დიდუბის საეკლესიო სკოლის მასწავლებელი და არა „ლოტბარი სლოვენურ გუნდისა."

ალბად მამა ცინცაძეს გულდასმით ვერ გაუშინჯავს „დავთრები", თორემ დარწმუნდებოდა ყოველივე ჩვენ მიერ ზემო ნათქვამის ჭეშმარიტებაში. რომ ვინმესთვის მაინც კარგად გამოეკითხა მამა ცინცაძეს, იმასაც ეტყოდნენ, რომ მ. ზედგინიძე ბინადარი კი არ იყო დიდუბეში,—ის თავის სახლიდან (ორბელიანთ ქუჩა) დადიოდა აქ. აქ კი მეორე მღვდელი ჰყავდა.. ამასთანავე მ. ზედგინიძე 1892 წლიდან ხშირად ავადმყოფობდა და ასეთ ხანებში უწინამძღვროდ ეკლესია თითქმის უპატრონოდ იყო. 1892 წლის აგვისტოს დამლევს მ. ბესარიონი ლოგინად ჩავარდა, ამის შემდეგ მას აღარ დასცლია დიდუბეში მოსვლა, ის გარდაიცვალა 1893 წლის იანვრის 17-ს და მოასვენეს მხოლოდ დიდუბეში დასამარხავად. მწირველი ბრძანდებოდა განსვენებული ბესარიონ ეპისკოპოსი (დადიანი), გალობდა სემინარიის ქართული ხორო ტიტე ვარდიაშვილის ლოტბარობით, გარნა ამ გუნდში იღებდა მონაწილეობას ამ სტრიქონების დამწერიც! „პროსკურინები" კი არ გამოჩენილან იმ დღეს...

ზემო ნათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ რაშია საქმე; მგალობელ რუსთა გუნდი მ. ზედგინიძეს კი არ „მოუწვევია", როგორც სწერს მამა ცინცაძე, არამედ ზედგინიძის ეკლესიაში არ ყოფნის დროს თუ იმის ავადმყოფობის დროს რამოდენიმე რუსს უწყია კლიროსზე სიარული, მეორე მღვდელს კი ამ „გუნდის" გალობა უმჯობინებია დიაკვნის გალობისათვის და ცოტა-ოდენი (12 მ.) სასყიდელიც უძლევიან ეკლესიიდან..

მ. ცინცაძე ბრძანებს 1893 წლის 18 აპრილს მაკურთხესო,—ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მ. კალისტრატე რამოდენიმე ხანს კურთხევამდისაც დიდუბის ეკლესიის წინამძღვრად ირიცხებოდა

ხატისოვმა საბჭოს მოახსენა ქალაქების წარმომადგენელთა კრების შესახებ და შემდეგ დღიურ წესრიგზე გადადიან. მათ შორის საინტერესოა: ქალაქში რკინის გზით შემოტანილ საქონელზე საფუთო გადასახადი.

შესაფერი მოხსენება გამგეობის მხრივ წარმოადგინა თავ. ა. არღუთინსკი-მხარგრძელმა მოხსენებიდან სჩანს, რომ ეს საკითხი დიდი ხანია აღძრულია მთავრობის წინაშე, მაგრამ აქამდის არაფერი გადაწყვეტილა. ეხლა, როდესაც ქუჩების მოსაკირწყვლელად ქალაქს 600,000 მ. ესაჭიროება, ეს საკითხი კვლავ პირველ რიგში წამოდგა. მოხსენებას უკამათოდ ამტკიცებენ.

ხმოსანმა, გამგეობის წევრმა, გ. დ. ჟურულმა საბჭოს მოახსენა ტფილისის ვაჭართა საზოგადოების შუამდგომლობა, რომ კომერციულ სასწავლებლის შესანახად ტფილისის ვაჭრებს განსაკუთრებული გადასახადი გაეწეროს. ქალაქმა ბევრი გაიღო ამ სასწავლებლის შესანახად და ეხლა, როდესაც თვით დიდი დეფიციტი აქვს, აღარ შეუძლია სკოლების შენახვა. ამიტომ გამგეობა შუამდგომლობს საბჭოს წინაშე დაამტკიცოს ვაჭართა განაჩენი, რომლითაც 1 ხარისხის სავაჭრო და 1, 2 და მე-3-ე ხარისხის სავაჭრო-სამრეწველო სახლები იხდიან წლიურად 50 მანეთს. 2 ხარისხის სავაჭრო და მე-4 და მე-5-ე ხარ. სამრეწველო სახლები კი—25 მანეთს. საკითხი უკამათოდ გადასწყდა.

თავ. არღუთინსკი-მხარგრძელმა საბჭოს მოახსენა ცხვრის ხორცზე ნიხრის მომატების შესახებ 16 კაპ. მაგივრად 17 კაპ.

ბაბოვი წინააღმდეგია ამისი.

ტერტეროვი მომხრეა, რადგან არ შეიძლება გაჰყიდონ ყასბებმა 16 კაპ., როდესაც თვით მათ 16 კაპ. უჯდებათ.

ნიხრს კაპეიკი მოუმატეს. შემდეგ პროფესორმა სივერსმა მოახსენა საბჭოს თავისი მუშაობის შედეგი. ვრცელის სიტყვით დაასურათხატა არანორმალური წარმოება ანგარიშებისა. 1912 წლის 1 იანვრისათვის მას უნდა შემოეღო ახალი ორმაგი სისტემა ბუხგალტერიისა, მაგრამ დავთრებში უეჭველად ნამდვილი ციფრები უნდა შეეტანა და ეს კი ისე არ შეიძლებოდა თუ წინასწარ არ გამოერკვია, ნამდვილად არ ეცნო ეს ციფრები. შემდეგ ბ-ნმა სივერსმა გაარჩია, თუ რა სისტემაა ყველაზე უკეთესი. ორმაგი სისტემის გარდა არც ერთი არ ვარგაო, არც ერთი სისტემა, შეიძლება ითქვას არ არსებობსო. ორმაგი სისტემა ყოველ მეურნეობას შეეფერება, ყველაფრისათვის გამოსადეგია. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ის დეფექტები, რომელიც 1909 წლის ანგარიშში იპოვა, ციფრები სწორი არ არის, ბევრი გამოტოვებულია და არის თანხაც, რომლის გამორკვევაც ძლიერ ძნელია. ასეთ თანხების გამოსაკვლევად მას დასჭირებია მოსამსახურეებისათვის მიმართვა და ამიტომ შეიძლება მეც შემეპარა შეცდომები, მაგრამ ეს შემდეგ თანდათან შესწორდებაო,—სთქვა ბ. სივერსმა. შემდეგ გიდავიდა იმ 1911 წლის ბალანსზე, რომელიც მან შეადგინა სანიმუშოდ, გაარკვია ამ ბალანსის სხვადასხვა მუხლები.

შემდეგ ბ. სივერსი გადავიდა ისევ ორმაგ სისტემაზედ და სთქვა: ეს სისტემა საუცხოვოა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ აღმასრულებელნიც კარგები ეყოლებაო. თქვენ გექნებათ შესაფერი დავთრები, სადაც თავის დროზე იქნება ყველაფერი გარკვეულად ჩაწერილიო. ამ დავთრებით თქვენ მუდამ ადევნებთ თვალ-ყურს ქალაქის ქონების ზრდას, თუ შემცირებასაო. მაგრამ რომ დეფექტი არ გქონდეთ, მოსამსახურეთა შტატიც შესაფერი უნდა იყოლიოთო.

„არ დავფარავ,—განაგრძო ბ-ნმა სივერსმა,—საბჭოს წინაშე იმას, რაც გამგეობას მოვახსენე. ჩემის აზრით, სტეფანე ალექსანდრეს ძე დანდუროვი (ეხლანდელი მთავარი ბუხგალტერი) ჩინებული კაციაო; მშვენივრად იცის ქალაქის მეურნეობის საქმე, მაგრამ ამ თანამდებობისათვის შეუფერებელია, რადგანაც არ იცის ანგარიშის წარმოება. მე მგონია ქალაქისათვის ასეთი მცოდნე კაცი ყველაფერში გამოსადეგია, მაგრამ ამ საქმეში კი იმის ადგილი სხვამ, ანგარიშების წარმოების მცოდნე პირმა, უნდა დაიჭიროს. რაც შეეხება ბუხგალტერიის დანარჩენ მოსამსახურეთა შემადგენლობას, იქაც ბევრი ქალაქისათვის საჭირო პირი მოიპოვება, მაგრამ ეხლა კი ისინი თავიანთ ალაგას არ არიან, თუმცა ანგარიშების წარმოების საქმე იციან. სამ-ოთხს ამათგანს ახალ სისტემასთან შეგუება შეუძლია, დანარჩენები კი უნდა გამოიცვალნენ.“

ბ. სივერსის აზრით საჭიროა მთავარ ბუხგალტერის თანამდებობისათვის მცოდნე პირის მოწვევა და მას უნდა მიემატოს ერთი მცოდნე თანაშემწეც.

რაც შეეხება კანტროლს, ბ-ნმა სივერსმა სთქვა: „კანტროლი ძლიერ საჭიროა, მაგრამ იგი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. ეხლანდელი კანტროლი ანგარიშების კარგი მცოდნეა, იცის თავისი საქმე. მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ ცუდ გარემოებებში უხდება მუშაობა. კანტროლი კარგად მოწყობილი არ არის. აქ უეჭველად საჭიროა შტატის გაძლიერება.

ხატისოვი ეკითხება სივერს, თუ როგორია ქალაქის ფინანსიური მხარე და როგორ მოაწყონ დეფიციტის საქმე.

თუ ბუხგალტერი შეუფერებელია, შეიძლება ბ. სივერსმა დაასახელოს ვინმე მცოდნე გამოსადეგი პირი ამ თანამდებობისათვის.

სივერსი ამბობს, რომ ფინანსიური მხარე თუმცა თქვენი 1909 წლის ანგარიშით უნუგეშო იყო, მაგრამ ჩემი ანგარიშებით მშვენიერია, ვალის დასაფარავად საჭიროა ახალი სესხის აღებაო. რაც შეეხება მცოდნე პირს ბუხგალტერის თანამდებობისათვის, მას ტფილისში ისეთი არ ეგულება. პეტერბურგსა და მოსკოვში კი ბევრს იცნობს, მხოლოდ ისეთ ჯამაგირზე ისინი არ დასთანხმდებიან, უნდა დაუნიშნოთ მას 4,800 მან. ფულის არ გაღება მაშინ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, შეუფერებელია, მიეცით მეტი, რომ ორი იმდენი შემოუტანოს ქალაქს, რაც ამიენხანსაო.

ხატისოვმა ქალაქის მხრივ მადლობა გადაუხადა ბ. სივერს, რომელიც კრებამ ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა (გარდა 5,000 მანეთისა, რომელიც მან თავის მუშაობაში აიღო).

ხმ. ბაბოვი შეეცადა შეჰკამათებოდა სივერსს და სთქვა: ორმაგი სისტემის შემოღება ეხლავე შეუძლებელია, რადგან ჯე ვერ დავრწმუნდი თქვენი ციფრების სისწორეში და მათი შეცდომებით გადატანა ახალ წიგნებში შესწორებას მოითხოვსო.

სივერსი. თუ თქვენ ექვსი ნიჩბის მაგიერად ოთხი ჩასწერეთ და ამის შესწორებისათვის მთელი წელიწადი გადასდეთ, ინვენტარის შედგენის საქმე კარგად არ წავაო. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ ახალ სისტემის შემოღებას. თუ რამე დეფექტი იქნება, შემდეგ შესწორდებაო. მეტსაც ვიტყვი: ორმაგი სისტემაც უეჭველად მოითხოვს შესწორებასაო.

ამის შემდეგ ხატისოვმა დასვა საკითხი რვაასი ათასი მანეთიან სესხის აღების შესახებ. გამგეობამ სივერსის მოხსენების მიხედვით საჭიროდა სცნო საჩქარო ვალების გასასტუმრებლად ვადიანი სესხი აიღოს ავლაბრისა და ნავთლუღის ადგილთა დაგირავებით.

ხმ. დოდუხანოვი წინააღმდეგია ასეთი სესხისა, რადგან ქალაქი ვერ გაისტუმრებს ვალებს და შემდეგ ისევ დასჭირდება ვალების აღება; ამიტომ ის სასარგებლოდ და გონივრულად სთვლის რაც შეიძლება ნაკლები და თუცილებელი სესხი აიღოს ქალაქმა.

ბაბოვი თანახმაა რვაას ათასიან ვალის აღებისა, რათა დაინახოს ყველას, რომ ამ გზით ქალაქის კასა ბოლოს გაკოტრდება.

ხმ. ჟურული უპასუხებს სესხის აღების მოწინააღმდეგეთ და ამბობს: საჭიროა როგორც საზოგადოებამ ისე პრესამ იცოდეს, რომ ამ სესხით ვერ განიკურნება ქალაქის ფინანსების ავადმყოფი მხარე. ეს სესხი ეხლა არის საჭირო. შეიძლება ოთხი—ხუთი წლის შემდეგ კიდევ დასჭირდეს ქალაქს სესხის აღება. შემდეგ ბ. ჟურული ამტკიცებს ვადიანი სესხის უპირატესობას ობლიგაციურის წინ.

შემდეგ უნდა გადასულიყვნენ საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ დარბაზში ხმოსანთა საჭირო რიცხვი (40 კაცი) არ აღმოჩნდა.

ხატისოვმა კრებას მიმართა მოწოდებით, რომ ეს საკითხები ძლიერ საჩქარო გადასაწყვეტია, თვით ხმოსნები დაინტერესდნენ მაგალითად კახეთის რკინის გზით და ამიტომ სთხოვს ხმოსნებს ყველანი დაესწრნენ შემდეგ კრებას, რომელიც შესდგება ორშაბათს, 6 ივნისს.

კრება 11 საათსა და 45 წუთზე დაიხურა.

# ბესარიონ ბელინსკი

ასი წლის წინედ, 1811 წლის 30 მაისს, პენზის გუბერნიის ქ. ჩემბარში დაიბადა რუსების კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი. მამა მისი, სამაზრო ექიმი, ცუდი ხასიათის კაცი იყო, დედა კი თავნება, რის გამოც ოჯახში მუდამ უთანხმოება ჰქონდათ. პატარა ბელინსკი ჯერ ჩემბარის სამაზრო სასწავლებელში სწავლობდა, მერე პენზის გიმნაზიაში გადიყვანეს. მისი ცხოვრება პატარაობიდანვე უსიამოვნო იყო. ოჯახური უთანხმოება და გაჭირვება, რომელიც გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოსცადა, პირველი უბედურება იყო პატარა ბელინსკისათვის. ის წრე, სადაც იგი იზრდებოდა, ჩემბარში, რასაკვირველია მას ბევრს ვერას მისცემდა. რას მისცემდა სამაზრო ქალაქი, რომელიც ეხლაც არას წარმოადგენს. აქ თუ რამეს შეიძენდა ბელინსკი, ისევ მამის პატარა ბიბლიოთეკის მეოხებით. მამას კითხვა და ფილოსოფოსობა უყვარდა. მაგრამ ეს შემთხვევითი იყო. პენზის გიმნაზიაში კი ბელინსკის განსავითარებლად უფრო ფართო წრე გაეშალა. აქ თუ კარგ ხელმძღვანელებს ვერ შეხვდა, სამაგიეროდ ლიტერატურის კარგ მცოდნეთა ხელში ჩავარდა. იგი სემინარიელთა წრეს მიეკედლა და ამ წრემ პირველად მისცა მას ფილოსოფიური საკითხები. თუმცა გიმნაზიაში ყოფნის დროს, ბელინსკი გაჭირებით სცხოვრობდა, მაგრამ იმას, რაც პენზაში მიიღო, შეეძლო გამოესყიდა ეს გაჭირვება. მიუხედავად ყველა ამისა, ბელინსკის პენზაში გული არ უდგებოდა და მოსკოვისაკენ მიიწევდა. იგი უნივერსიტეტში შესვლას ეჩქარებოდა, ასე ეგონა დროს დავკარგავო. თუმცა სულ 19 წლისა იყო, როდესაც გიმნაზიას თავი დაანება და 1829 წ. მოსკოვს წავიდა.

მოსკოვის უნივერსიტეტი, როგორც მთელ რუსეთში კულტურის გამავრცელებელი, გონებრივი და ლიტერატურული ცენტრი, ბელინსკის თავისკენ იზიდავდა. ამიტომ იყო, რომ ბელინსკიმ ისე საჩქაროდ მიატოვა გიმნაზია და მოსკოვს წავიდა. მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტმა მაბევრი ვერა მისცა-რა. ორი-სამი პროფესორის გარდა, დანარჩენები იმათა ჰგავდნენ, ვინც პენზაში დასტოვა მაგრამ ბელინსკი უნივერსიტეტს არ აღუზრდია. მისი ნიჭი იმ ლიტერატურულ წრეში განვითარდა, რომელიც ბელინსკის მოსკოვში დახვდა. ის დრო რუსეთის ლიტერატურისათვის შესანიშნავი დრო იყო. მაშინ რუსეთის ინტელიგენტთა ცხოვრებაში „რომანტიზმი“ უკანასკნელად იმარჯვებდა და თავის კულტურულ მისიას ათავებდა. ბელინსკიც თავდავიწყებით მიეცა ამ რომანტიზმს. ჯერ ისევ პენზის გიმნაზიაში გაიცნო მაშინდელი რუსი რომანტიკოსები ჟუკოვსკი, პუშკინი და უცხოეთის საუკეთესო მწერლები ამავე მიმართულებისა. უნივერსიტეტის მეცნიერებამ ვერ შთანთქა ბელინსკის სიყვარული ლიტერატურისადმი. მან დასწერა ერთი ტრაგედია, რომელსაც თავის თავად არავითარი ფასი არა აქვს. მაგრამ ერთი უდიდესი ეპიზოდი ამ ტრაგედიისა ის იყო, რომ ბელინსკი იქ მაშინდელ ბატონ-ყმობის სურათს იძლეოდა. საცენზურო კომიტეტმა, რომელსაც პროფესორები შეადგენდნენ, ტრაგედია აღკრძალა და ბელინსკიც უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, ცუდად სწავლობსო. ეს ბელინსკის თავმოყვარეობისათვის დიდი შეურაცყოფა იყო, თუმცა უნივერსიტეტიდან გამოსვლით ბელინსკი მხოლოდ დიპლომსა ჰკარგავდა. ეს 1832 წელს მისი უკიდურეს გაჭირვება დაიწყო; ოჯახი ვერა ჰშველოდა, საქმეს ვერას შოულობ და და ხშირად მშიერი იყო ხოლმე. მაგრამ სწორედ ამ დღიდან დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. პირველ ხანად იგი მხოლოდ ფრანგულიდან სთარგმნიდა რომანებსა და პატარ-პატარა მოთხრობებს, მერე კი დამოუკიდებელი კრიტიკოსი გახდა. უნივერსიტეტიდან გამოსვლის შემდეგ, ბელინსკი მოსკოვში 8 წელიწადს კიდევ დარჩა. ეს უბედნიერესი და ამავე დროს უძნელესი ხანი იყო მის ცხოვრებაში. ძნელი იყო მის ქონებრივ მდგომარეობისათვის, ბედნიერი კი მით, რომ მაშინ ბელინსკი მიეკედლა ეგრედ წოდებულ „სტანკევიჩის წრეს“, რომელსაც მაშინდელი საუკეთესო რუსის ახალგაზდობა შეადგენდა. აქ იყვნენ: სტანკევიჩი, ბოტკინი, ბაკუნინი, კატკოვი და სხვები. თავის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას წრე საერთო ძალით იმუშავებდა, მაგრამ თავის ხელმძღვანელად კი სტანკევიჩსა სთვლიდა. ბელინსკიმ ამ წრეს და რუსეთის საზოგადოებას ის სარგებლობა მოუტანა, რომ ამ წრის აზრებს ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ავრცელებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ახალ-გაზდობა გერმანიის ფილოსოფიით იყო გატაცებული; შელლინგი, ფიხტე, ჰეგელი მაშინდელ ახალგაზდობის სათაყვანებელი იყო: შელინგი ნახევრად ფილოსოფოსი და ნახევრად პოეტი იყო და რომანტისტებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, შელლინგის ბუნდოვანი ფილოსოფიის წვრილმანი ძნელად თუ ესმოდათ სტანკევიჩის წრის წევრებს, მაგრამ მისი შეხედულება ხელოვნებაზე მათ სავსებით აკმაყოფილებდა. ყველა მათგანი და მეტადრე ბელინსკი გერმანიის პოეზიით, გიოთეთი და შილლერით იყვნენ გატაცებული. ეს პოეზია კი შელლინგისადმი სიყვარულს უფრო უმტკიცებდა. ამ ფილოსოფიამ ხელოვნებაში ოცნება ცხოვრების უზენაეს გამოსახულებად აღიარა. ბელინსკიც მთლად მიეცა ამ ოცნებას, სინამდვილე შორს დარჩა. ამან ბელინსკი პირველ-ხანად ძალიან გაიტაცა, მიწიური, ქვეყნიური ყველაფერი დაავიწყა, მაგრამ ბოლოს ბელინსკიმ თავი უხერხულად იგრძნო, სინამდვილე ძალიან ძლიერი იყო, ოცნებას ანგრევდა და ბელინსკიმაც თავი დაანება თავის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. 1839 წელს მან ზურგი აქცია შელლინგს. ამ დროს ის პეტერბურგს გადასახლდა, გაიცნო გერცენი, მეთაური მეორე წრისა, მოწინააღმდეგე სტანკევიჩისა. ამ დროს მიჰმართა ბელინსკიმ სინამდვილეს, რომელიც, მისი სიტყვით, დიდი საზარლობაა, რკინის ხელები აქვს. ვაი მისი ბრალიც, ვინც მას ჩამოშორდება. „ეშმაკსაც წაუღია იდეალები, ოცნება, ყველაფერი, რაც აქამდის იყო, მომავლისათვის უნდა ვიცხოვროთ, რომ მომავალს თაობას ცხოვრება შეუმსუბუქდესო“—ამბობდა იგი. ამის შემდეგ მან ისეთნაირად დაიწყო წერა და მოქმედება, რომ არა სიმედო კაცად ჩასთვალეს და უკანასკნელ წუთებში იყო, როდესაც ჟანდარმთა როტმისტრი წაადგა თავს. რაკი ფილოსოფიური მსოფლ-მხედველობა შეიცვალა ბელინსკიმ, ნამდვილი კრიტიკოსობაც დაიწყო, მწერალთა ნაწარმოებს იგი ეხლა ოცნების თვალით კი აღარ უცქეროდა, არამედ სინამდვილის თვალით. მისმა მოღვაწეობამ დაუფასებელი სამსახური გაუწია რუსეთს. ბელინსკის ცხოვრება მაშინდელ რუსის ახალ-გაზდობის ცხოვრებაა, ფილოსოფიური ძებნით, გონებრივი მღელვარებით სავსე.

26 მაისს 1848 წელს, 39 წლის ბელინსკი, სასტიკმა ჭლექმა სიცოცხლეს გამოასალმა.

წელს რუსეთის საზოგადოება ამ მოღვაწის დაბადების ასი წლის თავსა დღესასწაულობს.

# მოწერილი ამბები

**სოფ. ალი.** (ზემო-ქართლი). ალი, რომელშიც სამას კომლამდე მცხოვრებია, ზემოქართლის ერთი უმშვენიერესი სოფელთაგანია. ბუნებას თუმცა ძვირფასად შეუმკია უცხოფერი სიმდიდრით, მაგრამ აქაური გლეხობა დიდ სიღარიბეშია. მიზეზი სიღარიბისა მრავალგვარია: გაუნათლებლობა, მეურნეობის უვიცობა, უთანხმოება ერთი-ერთმანეთთან, ათას გვარი გარდასახადები და ხარჯ-წურბელა ვაჭრები. სოფელი ალი შესანიშნავია მთელს ტფილისის გუბერნიაში კირის მადნით, რომელიც საუკეთესო თვისებისაა, უცხო ინჟინერებისაგანაც მოწონებულია და დამტკიცებულია, რომ აქაურ კირს ვერც ერთი კუთხის კირი ვერ შეედრება. ალის კირი გომის სადგურიდან სხვა და სხვა კუთხეებში იზიდება ყოველ წლივ ნახევარ მილიონ ფუთამდე. მკითხველი იფიქრებს, ეს ამისთანა მადანი ჰქონიათ და ღარიბნი რადად უნდა იყვნენო, მაგრამ კირის დამწველს ბევრს ჩაქრობია კერაზე ცეცხლი და სამშვილდოდ გაღარიბებულა, რადგანაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, აქაურს მუშას დუშავს ერთი ერთმანეთის უთანხმოება, შრომობენ, წვალობენ, დღე და ღამ ცეცხლში იწვებიან, უთანხმოებით და ერთი ერთმანეთის ჯიბრით თვითონ ზარალობენ და ჩარჩებიანცები კი ჯიბეებს ისქელებენ. კირის დამწველმა გლეხმა არ იცის, სად უნდა მოუშაოს კირს ბაზარი, თუ წვრილად მყიდველი (ორას სამას ფუთისა) სოფელში გაჩნდა ურმებით, დამწველები ერთმანეთს ეჯიბრებიან: არა მე მოგყიდი იაფად, არა მე. მყიდველიც სარგებლობს ფუთს 7 კაპ. ყიდულობს. ამასობაში დამწველი ზარალობს, რადგანაც ყველაფრით თვითონ უჯდება არა ნაკლები 8 კაპიკისა. ეს წვრილად მყიდველები; ახლა გეტყვით ჩარჩებიანცებზედ, ჩარჩებიანცებს ბაზარი მოწყობილი აქვსთ, უფულოდ აძლევენ დამწველები კირს, გაკოხობით, სადგურამდე დამწველებმა უნდა ჩაუტანონ, ვაგონშიც იმათვე უნდა ჩაჰყარონ, ჩარჩიანცი არ ინძრევა, ზის სახლში, ვაგზავნის კვიტანციას, თავის ხელით აძლევს ფასს რამდენიც უნდა, და როცა ფულს მიიღებს დამწველებსაც და მეურმეებსაც მაშინ აძლევს, ხანდისხან ხრიკსაც მოსდებენ ხოლმე და ფულს უჭერენ: კირი დაუწვავი გამოვიდა და ფული დამიჭირესო, ან-ამდენ ამდენი ფუთი დააკლდაო და საცოდავი დამწველებიც ძალაუნებურად ემორჩილებიან. ამრიგად ჩარჩებიანცები ჯიბეებს ისქელებენ უწვალებლივ და მშრომლები კი დატყუდებიან. რასაკვირველია ყველა ეს

---

და კიდევაც მართავდა ეკლესიას. თუ თავის გამართლებაზე წავა საქმე, ჩვენ გადაჭრით მოვახსენებთ მ. ცინცაძეს, რომ მას სრული საშუალება და უფლება ჰქონდა ჩვენი ძველთაგან-ძველი დიდუბის ეკლესია წირვა-ლოცვა-გალობის მხრით იმავ კალაპოტშივე დაებრუნებინა, რომელშიაც იყო ის მ. ზედგინიძის დროს და რომლიდგანაც ამ უკანასკნელის ავადმყოფობის დროს მხოლოდ ოდნავ გამოსულიყო სულ რვა-ცხრა თვის განმავლობაში!

ამაში მით უფრო დაგვეთანხმება მკითხველი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მ. ცინცაძეს იმ თავიდანვე დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა სასულიერო „სფერებში“,—რასაც მოინდომებდა, იმას გაიყვანდა ხოლმე,—მას ყურს უგდებდნენ ექსარხოსები. მას დიდის ნდობით და იმედებით მიეგება ქართველი სამღვდელოებაც. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ახალ-ნაკურთხი კ. ცინცაძე იმ წელშივე ეპარქიალურ კრების თავმჯდომარედ ამოირჩია ქართველმა სამღვდელოებამ... ამისდა მიუხედავად მან „ურჩევლოდ“ გამოაცხადებინა მთავრობას დიდუბის ეკლესია და „პროსკურინების“ **ხორისტების** ნაცვლად მამა კალისტრატემ მოიწვია **ნამდვილი ოთხხმოვანი დიდ-პატარებიანი სლოვენურ მგალობელთა გუნდი**, რომლის ლოტბარი იმ დროიდან დღემდე განუწყვეტლად აგალობებს იმ გუნდს!

ამაზედაც ხომ უარს ვერ ჰყოფს მამა ცინცაძე?! რატომ მაშინვე არ აღიძრა საკითხი დიდუბის განახლებულ ტაძრის ქართველთ სამრევლო ეკლესიად გამოცხადებისა, რა მიზნითაც ის იყო განახლებულ-გამშვენებული?! ხელით გასახსნელი საქმე კბილით გასახსნელად გახდომიათ დღეს დიდუბელებს!...

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო შორსმჭვრეტელობა, რომელიც საზოგადოდ გვაკლია ქართველობას...

დაგვრჩა მ. ცინცაძის წერილში მოყვანილი ერთი „ცნობაც“. „1891 წლის აპრილში ეკლესიის მნათედ მრევლის წარმომადგენლად ამორჩეული ყოფილა ბ. ა. სემინოჟენკო“. მე კი 1893 წ. 18 აპრილს ვეკურთხეო,—დიდ მნიშვნელოვნად დასძენს წერილის დასასრულს მ. ცინცაძე.!

ამაზე ჩვენ რაღა გვეთქმის იმის მეტი, რომ ბ. ალექსი ფილიპეს ძე სემინოჟენკო ქართველ მრევლთა უმეტესობით იქმნა არჩეული, ამას ეხლაც ბევრი დაადასტურებს დიდუბეში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ბ. სემინოჟენკო არ ეკუთვნოდა და დღესაც არ ეკუთვნის იმ საფრთხობელა „ჭეშმარიტ“ ანუ შავ-რაზმელ რუსთა გუნდს, რომელსაც ქირივით ეზიზღება ქართველიც, ქართული წირვა-ლოცვა-გალობაც, ყველაფერი არა „რუსული“ და რომ შეეძლოთ ერთ დღეს მოგვსპობდნენ ყველა არა რუსთ. ბ. სემინოჟენკო იშვიათი ადამიანია თავის გულ-კეთილობით და ძმური განწყობილებით არა მარტო რუსებთან, არამედ სხვა ტომის წარმომადგენლებთანაც. მას კარგად იცნობენ ამ მხრივ რკინის გზის ქართველი მუშა-მოხელეები, რომელთა ლაზარეთის ზედამხედველად იყო ის ამ უკანასკნელ დრომდე.

ბ. სემინოჟენკო დაბადებულა და აღზრდილა ჩვენში; ის თავისუფლად ლაპარაკობს ქართულს ისე, როგორც ჩვენ და მ. კალისტრატე. ის, როგორც სხვა ბევრი კეთილ-გონიერი რუსი, არასოდეს არ შეუშლიდა ხელს მოძმე ქართველებს სარწმუნოებრივ საქმის მათთავე გემოვნება-მოთხოვნილებისამებრ მოგვარებაში.

მაგრამ, თუ „1891 წლის აპრილში ეკლესიის მნათედ ამორჩეული ყოფილა ბ. ა. სემინოჟენკო“, ვის დროსღა ყოფილა ამორჩეული იმავ თანამდებობაზე განსვენებული ნეიმანი?! **Sat! de mortuis aut bene aut nihil!**

ჩვენდა ვითომდა გასაბიაბურებლად მამა ცინცაძემ წამოაყენა ზემო აღნიშნული „ცნობები“ რუს მგალობელთა ლოტბარობის **მთელი წყების** ჩამოთვლით და ბ. სემინოჟენკოს მ. ზედგინიძის დროს მნათედ მიპატიჟებით. რა ღირსებესის აღმოჩნდნენ „დავთრებიდან“ ამოღებული „ცნობები“ ჩვენ უკვე ვნახეთ. მაგრამ მამა ცინცაძე არავითარ „ცნობებს“ არ იძლევა მამა ზედგინიძისაგან „ქართულ-სლოვენურ ღვთის მსახურების“ აღსრულებაზე. ალბად ამის შესახებ „დავთრებში“ არა სწერია რა და ჩვენც რაღა გვეთქმის იმის მეტი, რომ მ. ზედგინიძე არამც თუ წირვა-ლოცვას, პარაკლისებსაც კი ქართულად უხდიდა რუსებს; ეს შეიძლება იმითიც ახსნას კაცმა, რომ მ. ზედგინიძეს სლოვენურ ღვთის-მსახურების წიგნებიც კი არა ჰქონდა, ესენი მ. ცინცაძემ შესძინა დიდუბის ეკლესიას უკლებლად —„უსტავის მიხედვით“..

მაგრამ... ვინც უნდა იყოს ხსენებულ ეკლესიის წირვა-ლოცვის ამრევ-დამრევი, დღეს ჩვენთვის სულ ერთია. განა მათ ვასამართლებდით ჩვენს წერილში?! ან მათი გასამართლება რაიმეს შესძენს დასმულ საკითხს?!

ეხლა მხოლოდ საჭიროა დიდუბის ეკლესიაში წირვა-ლოცვის და ღვთის-მსახურების ქართულ ენაზე სასურველად და კანონიერად მოწყობას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ შემდეგში გვიანდა არ იყოს „თითზე კბენანი“!..

**ძირითადი დიდუბელი.**

უთანხმოების ბრალია. სოფლის გლეხის უვიცობით ბევრი სარგებლობს. უვიცი გლეხი ვერ სცნობს თავის მტერს ან მოყვარეს, თავის სასარგებლო და საზარალო საქმეს, რის გამოც უფრო-დურეს სიღარიბეში ვარდება.

რადგანაც აქ ამისთანა მადანია და სარგებლობა კი ვერა მოაქვს ვაჭრობის მოუწყობლობისგამო, განზრახული გვაქვს დავაარსოთ კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის მიზანიც იქნება კირის დამწველთაც გაუსადონ კირი რიგიან ფასში და თვით სოფლის სასარგებლოთაც უფრო გაუიდულ ფუთ კირიდან გადასდონ ნახევარი კაპეიკი, რომლიდანაც სოფელს არას თუმნამდე შემოუვა.

თუ რომ ამხანაგობამ იხეირა, მაშინ შპალისა და შეშის ვაჭრობასაც ხელში ჩაიგდებს და აქედანაც დიდი სარგებლობა მიეცემა ხალხს, რადგანაც შპალისა და შეშის ვაჭრობაც ჩარჩების ხელშია ჩავარდნილი. მართლადაც ს. ალი ისეთი ადგილია, რომ აქ კოოპერატიული ამხანაგობა,—თუ რომ სათავეში-მდგომთ ხელი არ შეუშალეს და „მე“-ს ძახილით არ დაღუპეს, დიდ სარგებლობას მოუტანს აქს და ფეხზე წამოაყენებს ნივთიერად დაქვეითებულ ხალხს.

ს. ალის ყოველ წლიური გარდასახადი სამას თუმნამდე ადის. 1905 წელში ალელებმა გამოიტანეს ხაზინიდან თავიანთი საკუთარი მადაზიის ფული 15300 მანეთი, რადგან შიმშილობა აწუხებდათ იმ დროს და ხელი წაიმართეს, მაგრამ ამისთანა გამოტანა მოუგიდეს თქვენს მტერს, მაშინ უთხრეს, რომ ათის წლის განმავლობაში უნდა წვრილ წვრილად გადიხადოთო, ახლა სასტიკი ბრძანება მიიდეს, რომ ორის დღის განმავლობაში შეძლებლივ უნდა შეჰკრიფოთო. ეჰლა ეცათ საცოდავთ, და ახლა არ იციან რა ჰქნან. სერგი ხუცეხი.

# ალბანეთის აჯანყება

დეპეშები

2 თიბათვე.

ცეტინიე. 600 მალისორი, რომლებიც ჯარმა მდ. ცემის მარჯვენა ნაპირზე, ჩერნოგორიის საზღვრისკენ გარეკა, თოფის სროლას არა სწყვეტავს. მალისორთა უმრავლესობა პროკლიატის მთებისკენ გარეკილი, პარტიზანულ ომს ეწევა. ესენი მალესა და ნოსის თემებს შეუერთდნენ. მირიდიტები ისევ მთებში არიან, ბრძოლას არ ეწევიან და უცდიან თუ რა ამბავი მოუვათ ალბანეთის სხვა კუთხეებიდან.

სტამბოლი. ზექვეითი საქმის ბიურო, რომელიც პორტამ შეადგინა, უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც ოსმალები ალბანელებს სასტიკად ექცეოდნენ. ეს ხმა უცხოეთის გაზეთებმა გაავრცელესო. მალისორებმა თითონ დასწვეს თავიანთი სახლები, საყდრების ქონება გაანადგურეს და ფანჯრები თითონვე ჩალეწესო.

გაზ. „სენინი“ ამბობს, ის ამნისტია და საჩუქარი (100,000 მან.), რომელსაც მთავრობა აჯანყებულთ დაჰპირდა, ავსტრიის ძალ-დატანებით კი არ მოხდა, არამედ მთავრობის სიბრძნით არის ნაკარნახებიო.

თურღუთ-ფაშის პროკლამაციამ აჯანყებულთ ამნისტიას ჰპირდება და აცხადებს, რომ სულთანმა 10,000 გირვანქა (100,000 მან.) გადასდო დაზარალებულ ალბანელების სასარგებლოდაო, გუშინ პალლავიჩინსა და შინაგან საქმეთა მინისტრს მოლაპარაკება ჰქონდათ. გაზეთები ამბობენ, ამნისტია ამ მოლაპარაკების შედეგიაო. რიფაატ-ფაშას სან-ჯულიანისათვის მადლობა გადუხდია, პალატაში მეგობრულ სიტყვის წარმოთქმისათვის. ამბობენ, ვითომ სან-ჯულიანოს ეთქვას: ვიდრე იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრად ვიქნები იტალია და ოსმალეთი მეგობრები იქნებიანო.

დაინიშნა კომისია, რომელმაც კოსოვოსა და სკუტარის ოლქების რეფორმები უნდა მოახდინოს.

გაზეთებიდან.

რაც დრო გადის ალბანეთი მით უფრო მეტად იქცევს უცხო სახელმწიფოთა ყურადღებას. ეხლა რუსეთსა და ავსტრიას, მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ თუ როგორ დაიცვან ალბანელები გაწყვეტისაგან. ეს ოსმალეთის ჯარის საქციელმა გამოიწვია. მირიდიტელების აჯანყებით, მაგ. ისე არიან ოსმალელი სალდათები გაბრაზებულნი, რომ ალარავის არ ინდობენ და ალბანელ ოჯახებს უთქმელ მხეცობით ექცევიან. მირიდიტელებს სურსათი იტალიიდან მოსდით. იტალიის საზოგადოებრივი აზრი ხომ დიდი ხანია ალბანელების მხარეზეა. ამას წინედ იტალიის პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრმა სანჯულიანომ ილაპარაკა და სთქვა, რომ ოსმალეთისა და იტალიის დამოკიდებულებანი ეხლა საუკეთესოა. ოსმალეთში მცხოვრებ იტალიელებს პორტა ისევე ეკიდება როგორც სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომებსაო. ამით მინისტრმა პასუხი გასცა ყოფილ მინისტრს გვიჩიარდინის, რომელმაც წინა დღით, იტალიის კაბინეტის მოქმედება დაუწუნა და სთქვა, იტალიის ეხლანდელმა კაბინეთმა იქამდის მიიყვანა, რომ უცხო სახელმწიფონი მას არად აგდებენო. მინისტრის სიტყვამ საზოგადოება ვერ დააკმაყოფილა, პირ-იქით უარესად აღელდა ახლანდელ კაბინეთის წინააღმდეგ. რაკი ავსტრიამ მხარი დაუჭირა ალბანელებს, ამან უფრო დაამტკიცა სანჯიოვანის კაბინეთის პოლიტიკის მოუსაზრებლობაო. ამ რიგად, ალბანეთის საქმე საერთაშორისო საპოლიტიკო საქმედ იქცა. ალბანეთის გარშემო სახელმწიფოთა დამოკიდებულებანი რთულდება. ინგლისელი პოლიტიკური წრეები ავსტრიის მოქმედებას ისე უცქერიან, როგორც ეგოისტურს და ამბობენ, ეს მოქმედება მხოლოდ შურია გამოწვეული იმით, რომ ალბანეთზე რუსეთის გავლენა გაძლიერდაო. უეჭველია ავსტრიამ ჯერ გერმანიის აზრი გაიგო და ისე დაიწყო მოქმედებაო, ამბობენ ინგლისელი დიპლომატები. გაზ. „სტანდარტი“ ახალგაზრდა ოსმალებს ნაციონალისტობასა და სისასტიკეს უკიჟინებს, თქვენმა საქციელმა ალბანეთში ცეცხლი გააჩინაო, სწერს გაზეთი.

— ნუ დაყონდებიან ახალგაზრდა ოსმალები, დაუთმონ ალბანელებს, თორემ ეს ცეცხლი სხვა სახელმწიფოებსაც მოედებაო. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს:

— უკმეხი ძალა დიდი მშვიდობიანობისათვის მავნებელია. ევროპას დიდი უბედურება მოელის თუ ოსმალეთმა ალბანელებს ნაციონალურ მოძრაობის ძალად ჩაქრობაზე ხელი არ აიღო. გაზეთი ახალგაზრდა ოსმალთა პოლიტიკურ დაქვეითებას აღნიშნავს და კითხულობს: 1876 წელი ხომ არ განმეორდებაო.

გრაფ ერენტალს რეშიდ-ფაშამ უთხრა, პორტა თქვენ ნოტას შენაურ საქმეებში ჩარევადა სთვლისო. რაც ავსტრია ალბანეთის საქმეებში ჩაერია, ვენის ბირჟაზე ქაღალდების ფასმა დაიწია. ეს იმიტომ მოხდა, რომ ავსტრიამ თავისი ჯარი ნოვობაზარის სანჯაქის საზღვრებზე შეაგროვაო. 28 მაისს ხმა გავრცელდა, ავსტრიამ კატტაროში ვენგერთა პოლკი გაგზავნა და მათთვის სამხედრო გემებიც დაამზადაო. გარეშე საქმეთა მინისტრს ეს ხმები უარუყვია.

ცეტინიედან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ, რომ 27 მაისს სკუტარის ქუჩებში საბერძნეთისა და რუსეთის კონსულები დაუტუსაღებიათ. მცველებს, რომელთაც კონსულები საპოლიციო ნაწილში წაუყვანიათ, კონსულებისათვის გზაში უცემიათ. პოლიციაში, როდესაც მათი ვინაობა გაუგიათ, გაუნთავისუფლებიათ. ოსმალების ეს ჩვეულებრივი წესიაო, რაკი საღამოს წესებია გამოცხადებული დანიშნულ საათის შემდეგ ქუჩაში აღარავინ უნდა გამოვიდესო. ევროპის ყველა კონსულებს საერთო პროტესტი განუცხადებიათ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 თიბათვე.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. მეზღვაურთა დიდმა კრებამ გადასწყვიტა გაფიცვის მიემხროს.

1 თიბათვეს პოლიციამ გაფიცულთა მაგივრად ორი გემისათვის ჩინელები დაიქირავა, იმედი არა აქვთ, რომ გაფიცვას კარგად ჩაიაროს.

პარიზი. დვინის რაიონის გაუოფის პროექტი მინისტრთა საბჭომ ერთხმად მიიღო.

ლეიპციგი. საიმპერატორო სასამართლომ და-ძმა რემენების საქმის გარჩევა დაიწყო. რემენებს ჯაშუშობას აბრალებენ, ვითომც მათ 1910 წ. რუსეთისა და საფრანგეთისათვის სამხედრო საიდუმლო ქაღალდები მიეყიდნოთ.

ურმია. მოვიდა ოსმალების 100 ცხენოსანი. ოსმალები მავანის მცხოვრებთ ძალიან აწუხებდნენ. სტამბოლიდან ბრძანება მოუვიდათ ქურთებს—კარგად მოექცეთო.

რ უ ს ე თ ი.

პსკოვი. ხოროვის გამძარცველები, რომელთაც 213 მან. გაიტაცეს, ფულიანად დაიჭირეს.

პეტერბურგი. გრაფი გორონცოვ-დაშკოვი ხელმწიფეს წარუდგა.

ეკატერინოსლავი. ბეზსერგენოვკასა და ტაგანროგს შუა მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. 1 კაცი მოკვდა, 6 დაიჭრა.

მოსკოვი. გარდაიცვალა მწერალი-იუმორისტი ბარიშევი, ფსევდონიმით მიასნიცკი.

ოდესა. ერობამ გადასწყვიტა დაარსოს ინსტიტუტი, რომლითაც უნდა ჭირის გავრცელებას უნდა ებრძოლოს.

ხარკოვი. ერობამ დაადგინა, იმუამდგომლოს რათა ხაზინიდან ხოლერასთან საბრძოლველად 300,000 მან. იქმნას გადადებული.

მოგილიოვი. ნასპას მამულში შეშის ქარხანა დაიწვა. ზარალი 73.000 მანეთია.

# წერილი რედ. მიმართ

თ-დ. გ. ნ. დიასამიძის წერილის გამო.

თავადო გრიგოლ!

მერწმუნეთ, რომ გუშინდელ თქვენმა წერილმა ძლიერ მასიამოვნა, მეტადრე იმისათვის რომ იმ მძიმე და აუტანელ ცხოვრების პირობებში, რომელსაც ჩვენ ამ ჟამად განვიცდით, თქვენებრ პატიოსანი და მოუსყიდავი მოღვაწე და წევრი საზოგადოებისა მეტად იშვიათი გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგშიაც ჩვენს მუდამ მეგობრულ განწყობილებას ვერ შეარყევს ვერავითარი უმართებულო გამოლაშქრება.

რაც შეეხება თვით საჯარო სამართალს, უკანასკნელისათვის სრულიად საკმარისად მიმაჩნია ორი უკვე ჩემგან დასახელებული წევრი ჩვენი ქართველი საზოგადოებისა და თქვენი სურვილისამებრ თავისუფალი გაძანდებით.

მით უმეტეს, რომ როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, ამგვარ განთავისუფლებისათვის თქვენ ფრიად საგულისხმო საბუთებიც გქონიათ.

თქვენი მარად პატივისმცემელი

თ-დ გ. ი. ამირეჯიბი.

# ჩვენი ფოსტა

ქუთაისი. ბ-ნ ასკანელ პროკოფიას. თქვენი „წერილი რედაქციის მიმართ“ ვერ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ წერილების გამო რედაქცია მიწერ-მოწერას არავისთანა ჰმართავს.

ქუთაისი. კ. აბაშისპირელს. ხელთნაწერი მივიღეთ. რადგანაც ბელეტრისტულ ნაწერებისთვის ჩვენ განკარგულებაში მხოლოდ „სურათებიანი დამატებაა“, და ხელთნაწერები კი აუარებელი მოგვდის, ამიტომ მათი წაკითხვა და ბეჭდვა გვიანდება. გთხოვთ, ყოველთვისა გქონდეთ ხოლმე მხედველობაში ეს გარემოება.

წები (ქუთ. მაზრა). მიხ. ბიჭიაშვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ახ. მილორავას. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

# გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) ბათუმისაკენ: N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) საფოსტო მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) სახალხო მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) შერეული მატ. № 107, მეოთხე კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დილის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ, 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშუადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მღრაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.

მღრაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლებიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ჩრდილო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, სერთაშორისო სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა სააგარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.


# განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—51)

მუხრანის ხიდთან

# სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ხვადმუოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებს.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალმიკაროვი—ქალთა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონარული ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—83)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

პირობებით:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრედვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს პერეეზამენოვკიანებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მსწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველნ შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вокзала въ Нахаловкѣ. „შესავალი უთავრეს კარებიდან“. (9—1084—11)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

გ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრედვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

„შვების თავადი“

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის“ ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარეთ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (10—1308—7)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბეც 50 კ.

აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.